

წარმოგიდგენთ ანგარიშს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაში არის 43 ფილიალი (საბავშვო ბაღი), 807 თანამშრომლითა და 2670 აღსაზრდელით. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შესაბამისად.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენს 3 400 000 ლარს. აქედან სახელფასო ფონდია 2 475 600 ლარი, ბავშვთა კვებაზე გამოყოფილია 1 110 500 ლარი, უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს ბაღების თანამშრომელთა ხელფასები რამდენჯერმე გაიზარდა, მატებამ შეადგინა 272 981 ლარი, ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს კვების თანამედროვე სტანდარტებსა და რეგულაციებს, ახალ მენიუზე იქნა გადაყვნილი ბაღები, კვების თანხამ ერთ ბავშვზე შეადგინა 2 ლარი და 85 თეთრი, (ნაცვლად 2 ლარისა და 40 თეთრის), მოწესრიგდა კვების ბლოკი, შეძენილი იქნა 26 მაცივარი 16900 ლარის ღირებულების, შეძენილი იქნა ავეჯი, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, საოფისე ტექნიკა, სათამაშოები. ბაღების ინფრატრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სკოლამდელ დაწესებულებებში ჩავატარეთ კვლევა, გამოვლენილ ნაკლოვანებებზე შედგა ხარჯთაღრიცხვები, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა ტენდერი, ამჟამად 33 სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, 254 485 ლარის ღირებულების. კაპიტალურად შეკეთდა ქ. ოზურგეთის N4 ბაღი, ახალი ბაღი აშენდა დაბა ურეკში, ამ ბაღებს დაემატა სააღმზრდელო ჯგუფები.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლება შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა ნორმატიული აქტები, რაც ხელს შეუწყობს სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, ავტორიზაციით განსაზღვრული საკითხების მოგვარებას.

სკოლამდელი დაწესებულებების შემდგომი განვითარების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რაც გულისხმობს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებასა და სასკოლო მზაობის მიწოდების ხელშეწყობას. ამ მიზნით სკოლამდელ დაწესებულებებში განხორციელდა მონიტორინგი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 18 იანვრის N01-21/ო ბრძანების შესაბამისად, (მოდული: წყალი, სანიტარია, ჰიგიენა). მიღებული ინფორმაცია დამუშავდა როგორც საბაზისო მაჩვენებელი შემდგომი რეაგირებისათვის.

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად. ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ჯგუფები. ჩვენ მიერ ხორციელდება სტანდარტის შესრულების მონიტორინგი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში დაიწყო საბავშვო ბაღების მეთოდისტების გადამზადება, რომლებიც შემდგომ თავად გადაამზადებენ საბავშვო ბაღის აღმზრდელებს აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდულის შესაბამისად. აღმზრდელთა პროფესიული განვითარების მიზნით დაფინანსდა სასკოლო

მზაობის ჯგუფების აღმზრდელთა ტრენინგი, 64 აღმზრდელმა გაიარა ტრენინგით გათვალისწინებული პროგრამა.

სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩატარდა სტატისტიკური კვლევა სამი წლის (2018-2019-2020) განმავლობაში საბავშვო ბაღებში სავარაუდო კონტიგენტის დადგენის მიზნით „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნების ეტაპობრივად მისაღწევად. რაც პირველ რიგში გულისხმობს ბაღებში ბავშვთა კონტიგენტისა და აღმზრდელის თანაფარდობის ზღვრული ნორმების დაცვას, რისთვისაც საჭიროა სკოლამდელი დაწესებულებების სათანადო ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა, ხოლო სადაც შენობა ამის საუალებას არ იძლევა, ახლის აშენება ავტორიზაციის პროცესის გასრულებამდე, ოთხი წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ნებაყოფლობითობის, საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის;

უზრუნველყოფილია თანაბრად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება საჯარო დაწესებულებებში. მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში ავტორიზაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ხდება ინფორმაციის მუდმივი მიწოდება მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში დანერგილი ახალი სტანდარტები მოითხოვს შესაბამის ფინანსებს. ამიტომ, 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც გამოვლინდა მუშაობის პროცესში.

ავტორიზაციის წესის დამტკიცების შემდეგ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული დაიწყებს ავტორიზაციის პროცესის განხორციელებას საჯარო და კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.